სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო

დავით აღმაშენებლის გამზირი №150
0112 თბილისი, საქართველო
+995 32 2439503 / +995 32 2439510
info@nea.gov.ge
nea.gov.ge

17 ნოემბერი 2025

N 21/11523

შპს „ბლექ სი რეზორთ"-ის დირექტორს
ბატონ ირაკლი მატუას
ელფოსტა: natiametreveli98@gmail.com

ბატონო ირაკლი,

სსიპ გარემოს ეროვნულმა სააგენტომ (შემდგომ – სააგენტო) განიხილა თქვენი 2025 წლის 3 ნოემბრის №10863 სკრინინგის განცხადება, რომელიც ეხება ქობულეთის მუნიციპალიტეტის სოფელ ბუკნარში მშენებარე სასტუმროსთვის სამეურნეო-ფეკალური ჩამდინარე წყლების ბიოლოგიური გამწმენდი ნაგებობის მოწყობასა და ექსპლუატაციას და გაცნობებთ, რომ სკრინინგის განცხადებაში მოცემული არ არის/დაზუსტებას საჭიროებს დაგეგმილ საქმიანობასთან დაკავშირებული შემდეგი საკითხები:

- დოკუმენტში წარმოდგენილი უნდა იყოს ინფორმაცია ჩამდინარე წყლების გაწმენდის შედეგად მოსალოდნელი ლამის რაოდენობის შესახებ. ამასთან, დასაზუსტებელია საპროექტო გამწმენდი ნაგებობის ექსპლუატაციის შედეგად წარმოქმნილი ლამის მართვის საკითხები. გარდა ამისა, დოკუმენტში მოცემული უნდა იყოს ინფორმაცია საპროექტო გამწმენდი ნაგებობის მოწყობისა და ექსპლუატაციის ეტაპზე მოსალოდნელი ნარჩენების შესახებ (კოდები, დასახელებები, რაოდენობები და შემდგომი მართვის ღონისძიებები);
- სკრინინგის განცხადებაში წარმოდგენილი უნდა იყოს მშენებარე სასტუმროში მოსალოდნელი სამეურნეო-ფეკალური ჩამდინარე წყლების რაოდენობა;
- დასაზუსტებელია სკრინინგის განცხადების 2.2.2 ცხრილში მოცემული ინფორმაცია. კერძოდ, ვერ დგინდება ცხრილში მოცემულია მავნე ნივთიერებების პარამეტრები, თუ არსებული ნორმები. ამასთან, დოკუმენტში მოცემული უნდა იყოს საპროექტო გამწმენდი ნაგებობის ეფექტურობა (გაწმენდილ წყალში არსებულ დამაბინძურებელ ნივთიერებათა ხარისხობრივი მაჩვენებლები).

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, მითითებული საკითხების დაზუსტებამდე, კოდექსის მე-7 მუხლის 5^1 ნაწილის საფუძველზე, სააგენტო წყვეტს თქვენ მიერ წარმოდგენილ სკრინინგის განცხადებაზე ადმინისტრაციულ წარმოებას.

პატივისცემით,

ელენე ღუბიანური

სააგენტოს უფროსი

სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო

https://edocument.ge/mea/public/#/11523-21-2-202511171627

QUALIFIED ELECTRONIC SIGNATURE